ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 366

25 აგვისტო
"___" _____ 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, კონსტიტუციის ქუჩა №2ა-ში (საკადასტრო კოდები: №01.16.01.010.018.02.612 და №01.16.01.010.018.02.050) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, კონსტიტუციის ქუჩა №2ა-ში (საკადასტრო კოდები: №01.16.01.010.018.02.612 და №01.16.01.010.018.02.050) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს №23.1153.1258 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, კონსტიტუციის ქუჩა №2ა-ში, მეოთხე სართულზე არსებული 18.00 კვ.მ. ფართის ბინა №50-ის (საკადასტრო კოდი: №01.16.01.010.018.02.050) და შენობა №2-ში, მეოთხე სართულზე არსებული 3.00 კვ.მ. დამხმარე ფართის (სათავსოს) (საკადასტრო კოდი: №01.16.01.010.018.02.612) პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზებაზე, მოქალაქე ქეთინო თევზაძისთვის (პ/ნ. 01001065663) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე